სსიპ - გალაკტიონ ტაბიძის სახელობის ქალაქ ხაშურის N6 საჯარო სკოლის ბალანსზე რიცხული ძირითადი აქტივის ჩამოწერის მიზნით შექმნილი საინვენტარიზაციო კომისიის სხდომის ოქმი N1

ქ. ხაშური

12 ივლისი 2016 წ.

მიმდინარე წლის თორმეტ ივლისს სსიპ - გალაკტიონ ტაბიძის სახელობის ქალაქ ხაშურის N6 საჯარო სკოლაში გაიმართა სსიპ - გალაკტიონ ტაბიძის სახელობის ქალაქ ხაშურის N6 საჯარო სკოლის 2016 წლის 11 ივლისის N1/კ-96 ბრძანებით შექმნილი სკოლის ბალანსზე რიცხული ძირითადი აქტივის ჩამოწერის მიზნით შექმნილი საინვენტარიზაციო კომისიის სხდომა.

სხდომას ესწრებოდნენ:

1. ზურაბ ლომუაშვილი - სსიპ - გალაკტიონ ტაბიძის სახელობის ქალაქ ხაშურის NN6 საჯარო სკოლის დირექტორის მოადგილე (კომისიის თავმჯდომარე);
2. ილია დოლიაშვილი - სსიპ - გალაკტიონ ტაბიძის სახელობის ქალაქ ხაშურის NN6 საჯარო სკოლის თანამშრომელი (მოადგილე);
3. ხათუნა ციცქიშვილი - სსიპ - გალაკტიონ ტაბიძის სახელობის ქალაქ ხაშურის NN6 საჯარო სკოლის თანამშრომელი (მდივანი);
4. ლალი ბანცაძე - სსიპ - გალაკტიონ ტაბიძის სახელობის ქალაქ ხაშურის NN6 საჯარო სკოლის ბუღალტერი;
5. ზვიად გოგუაძე – ქალაქ ხაშურის რესურსცენტრის წარმომადგენელი;

სხდომა დაიწყო: 11:00 საათზე

დღის წესრიგი: ჩამოწერის მიზნით შექმნილი საინვენტარიზაციო კომისიის მიერ გასატარებელი ღონისძიებები.

მოისმინეს: კომისიის თავმჯდომარის მოხსენება სსიპ - გალაკტიონ ტაბიძის სახელობის ქალაქ ხაშურის N6 საჯარო სკოლის ბალანსზე რიცხული ძირითადი აქტივის ჩამოწერის მიზნით შექმნილი საინვენტარიზაციო კომისიის სამოქმედო გეგმაზე. კერძოდ, მან აღნიშნა, რომ სსიპ - გალაკტიონ ტაბიძის სახელობის ქალაქ ხაშურის N6 საჯარო სკოლას ბალანსზე ერიცხება ამორტიზებული და შემდგომში ექსპლუატაციისათვის გამოუსადეგარი უძრავი ძირითადი აქტივი - შენობა-ნაგებობა N2 (42,18 კვ.მ) (მდებარე, ქ.ხაშური ზ.ფალიაშვილის ქ.N10-ში სსიპ - გალაკტიონ ტაბიძის სახელობის ქალაქ ხაშურის N6 საჯარო სკოლის ეზოში საკადასტრო კოდი:69.08.63.147), რომელიც ჩამოწერას ექვემდებარება. კომისიამ ინვენტარიზაციის ჩატარებისას განუხრელად უნდა იხელმძღვანელოს საქართველოს მთავრობის 2010 წლის 22 მარტის N82 დადგენილებით დამტკიცებული დებულებით. დებულების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, საინვენტარიზაციო კომისია სწავლობს ჩამოსაწერი ქონების ფაქტობრივ მდგომარეობას, შესაბამისი გადაწყვეტილებით ასაბუთებს ძირითადი აქტივების ჩამოწერის აუცილებლობას, ავსებს დებულების თანდართული ჩამოსაწერი ძირითადი აქტივების ნარჩენი ღირებულების დადგენის აქტებს და ძირითადი აქტივების ლიკვიდაციის აქტებს.

აზრი გამოთქვა: კომისიის წევრმა (ბუღალტერმა) ლალი ბანცაძემ და აღნიშნა, რომ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 22 მარტის N82 დადგენილებით განსაზღვრულია, რომ საჭიროების შემთხვევაში, საინვენტარიზაციო კომისიამ შესაძლებელია გამოიყენოს დარგის სპეციალისტის დასკვნა (შესაბამისი აუდიტორული) ჩამოსაწერი ქონების შეფასების შესახებ. სკოლამ მოიწვია აუდიტორული კომპანია შპს „აუდიტი+" რომლის მიერ შედგენილი დასკვნის საფუძველზეც გამოვლინდა, რომ სკოლის ბალანსზე რიცხული ამორტიზებული და შემდგომი მოხმარებისათვის გამოუსადეგარი მოძრავი ძირითადი აქტივი - შენობა-ნაგებობა N2, ავარიულ მდგომარეობაშია,

შენობის აღდგენა არარენტაბელურია და ჩამოწერას ექვემდებარება. აუდიტის დასკვნის მიხედვით, შენობა მთლიანად აშენებულია სამშენებლო აგურით. ვიზუალური დათვალიერებით ჩანს, რომ აგური არის ნალესისგან დაცული და ხარისხიანი. შენობის ჭერი დამზადებულია ეგრეთწოდებული ხის ,,ტკეჩით'', ხოლო გადახურულია აზბესტის ,,შიფერით''. სახურავი დაზიანებული, განსაკუთრებით აღმოსავლეთ მხარე. შედეგად შენობაში ჩადის ნალექი, რის გამოც დაზიანებულია ჭერი და სერიოზულ საფრთხეს ქმნის მოსწავლეთათვის.
სსიპ - გალაკტიონ ტაბიძის სახელობის ქალაქ ხაშურის N6 საჯარო სკოლის ბალანსზე რიცხული ძირითადი აქტივების ფაქტობრივი მდგომარეობის შესწავლის შემდგომ, კომიასამ შეავსო ამორტიზებული და გამოუყენებელი ჩამოსაწერი ძირითადი აქტივების ნარჩენი ღირებულების დადგენის აქტები, რომელიც დანართის სახით თან ერთვის სხდომის ოქმს. აუდიტის დასკვნის შესაბამისად, ჩამოწერის შედეგად დარჩება დაახლოებით 9700 ცალი სამშენებლო აგური.

კომისიის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს მოუწოდა კენჭი ეყარათ აღნიშნული საკითხისთვის.

მომხრე - 5 (ხუთი)
მოწინააღმდეგე - 0

კენჭისყრის შედეგად დაადგინეს:

1. ჩამოწერას ექვემდებარება სსიპ - გალაკტიონ ტაბიძის სახელობის ქალაქ ხაშურის N6 საჯარო სკოლის ბალანსზე რიცხული, ნარჩენი ღირებულების დადგენის აქტში მოცემული ამორტიზებული და ექსპლუატაციისათვის გამოუსადეგარი ძირითადი აქტივი შენობა-ნაგებობა N2 (42,18 კვ.მ) (მდებარე, ქ.ხაშური ზ.ფალიაშვილის ქ.N10-ში სსიპ - გალაკტიონ ტაბიძის სახელობის ქალაქ ხაშურის N6 საჯარო სკოლის ეზოში საკადასტრო კოდი: 69.08.63.147), რომელიც დანართის სახით ერთვის სხდომის ოქმს. აუდიტის დასკვნის საფუძველზე ჩამოწერის შედეგად დარჩება 9700 ცალი სამშენებლო აგური.

2. სხდომის ოქმი თანდართულ მასალებთან ერთად გადაეცეს სკოლის დირექტორს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ნებართვის მისაღებად.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვასთან დაკავშირებით, სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სხდომა დასრულდა: 12:00 საათზე

კომისიის თავმჯდომარე: ---------- / ზურაბ ლომუაშვილი/

კომისიის თავმჯდომარის მოადგილე: ---------- /ილია დოლიაშვილი/

კომისიის მდივანი: ---------- / ხათუნა ციცქიშვილი/

წევრები: ---------- /ლალი ბანცაძე/

---------- /ზვიად გოგუაძე/